საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ფურელიანი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. მ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ქ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.02.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 004/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. ს.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2021 წლის 10 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ე. ს. მის საქმეში ჩაერთო 2019 წლის 08 აგვისტოს, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომაზე.

1.3 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა მის საქმეში მტკიცებულების სახით არ ჩადო კონკრეტული დოკუმენტაცია, კერძოდ: სასტუმრო ჰ. ი.-ისა და კაზინო ა.-ის კამერების ჩანაწერები, რაც ადასტურებდა კონკრეტული პიროვნების კაზინოში ყოფნის ფაქტს; ადვოკატმა არ მოითხოვა გადმორიცხვის ფურცლის შემოწმება, მიუხედავად იმისა რომ ეს ფურცელი არ იყო ბანკიდან გამოთხოვილი დედანი, ის მაინც ჩაიდო სისხლის სამართლის საქმეში; სასამართლოზე დაიკითხნენ უმნიშვნელო მოწმეები: ლომბარდის, სავალუტო ჯიხურის თანამშრომლები და არ დაიკითხა მნიშვნელოვანი მოწმე - პატრულის თანამშრომელი, რომელმაც გამოიძახა სხვა საპატრულო ეკიპაჟი განყოფილებიდან, რა დროსაც მოხდა მისი და ლ. ბ.-ის დაკავება. ასევე არ გამოიკითხა შემთხვევის ადგილზე, პირველ სართულზე მცხოვრები მეზობელი, რომლის ფანჯრიდანაც ჩანდა შემთხვევის ადგილი; სასამართლოს მსვლელობისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ როგორც სასამართლო, ასევე ბრალდებულის ადვოკატები იცავდნენ დაზარალებულს და არ იკვლევდნენ სიმართლეს; აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე დაზარალებულის ცოლი მას სასამართლოს დარბაზში ემუქრებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოკვლით, ამ ჩანაწერის ამოღება არ მოხდა.

1.4 მომჩივანის განმარტებით, მის დაკავებამდე დაზარალებულის ცოლი „მიუვარდა“ დედამისს და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, ამ ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება და ამ საქმეშიც უნდა ჩართულიყო ადვოკატი ე. ს., რომელიც არათუ ჩაერთო, არამედ საქმეც კი არ გამოითხოვა, რომ სისხლის სამართლის საქმისათვის დაერთო.

1.5 2021 წლის 14 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა განუცხადა, რომ მისი სტრატეგია იყო ის, რომ არ გამოითხოვა ინფორმაცია კაზინოდან. მას საქმეში ჩართულმა პირველმა ადვოკატმა - ი. კ.-მა განუცხადა, რომ მტკიცებულება - მეზობლის გამოკითხვის ოქმი საქმეში არ ჩაადებინა ადვოკატმა ე. ს.-მ.

1.6 ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოში და შემდეგ სააპელაციო წესით გაასაჩივრა განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს სხდომა ადვოკატმა რამდენჯერმე გადადო მისთვის გაურკვეველი მიზეზით. შედეგად, მან ადვოკატი ე. ს. აიცილა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 31 მარტს ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, რომლის თანახმად მის მიერ განხორციელებული საადვოკატო მოქმედებები სრულად არის ასახული ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მომსახურების დაწყებისას კლიენტის პოზიციის მიხედვით შეიმუშავა დაცვის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც კლიენტს უწევდა მომსახურებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ბრალდებულმა და ქ. ხ.-მა შეცვალეს პოზიცია - დაიწყეს მოლაპარაკების წარმოება დაზარალებულთან, რათა მოეპოვებინათ მისი თანხმობა და გაეფორმებინათ საპროცესო შეთანხმება. მის მიერ სხდომების გადადება ემსახურებოდა კლიენტის ამ ინტერესის გატარებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მის მიმართ კლიენტის უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კლიენტს სურდა საჩივრის შეტანა მოსამართლის მიმართ, რასაც თავად როგორც ადვოკატი არ

დაეთანხმა, კლიენტის ეს მითითება არ შეასრულა და ამ საფუძვლით მათ შორის დასრულდა ურთიერთობა.

2.4 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს და მათ დაუსაბუთებელად მიიჩნევს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ე. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სისხლი.

3.2 ე. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 10 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020-2021 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მის საქმეში მტკიცებულების სახით არ ჩადო კონკრეტული დოკუმენტაცია, კერძოდ: სასტუმრო ჰ. ი.-ისა და კაზინო ა.-ის კამერების ჩანაწერები, რაც ადასტურებდა კონკრეტული პიროვნების კაზინოში ყოფნის ფაქტს; ადვოკატმა არ მოითხოვა გადმორიცხვის ფურცლის შემოწმება, მიუხედავად იმისა რომ ეს ფურცელი არ იყო ბანკიდან გამოთხოვილი დედანი, ის მაინც ჩაიდო სისხლის სამართლის საქმეში; სასამართლოზე დაიკითხნენ უმნიშვნელო მოწმეები: ლომბარდის, სავალუტო ჯიხურის თანამშრომლები და არ დაიკითხა მნიშვნელოვანი მოწმე - პატრულის თანამშრომელი, რომელმაც გამოიძახა სხვა საპატრულო ეკიპაჟი განყოფილებიდან, რა დროსაც მოხდა მისი და ლ. ბ.-ის დაკავება. ასევე არ გამოიკითხა შემთხვევის ადგილზე, პირველ სართულზე მცხოვრები მეზობელი, რომლის ფანჯრიდანაც ჩანდა შემთხვევის ადგილი; აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე დაზარალებულის ცოლი მას სასამართლოს დარბაზში ემუქრებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოკვლით, ამ ჩანაწერის ამოღება არ მოხდა; ადვოკატმა საქმეს არ დაურთო იმ სისხლის სამართლის საქმის მასალები, სადაც ე. მ.-ის საქმეში დაზარალებულის სტატუსის მქონე პირის ცოლი ემუქრებოდა ე. მ.-ის დედაც სიცოხლის მოსპობით.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ს.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 5.ა მუხლი).

5.2.2 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი).

5.2.3 ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2).

5.2.4 ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი) კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში“ (ეთიკის კომისიის N083/18 გადაწყვეტილება, 28.02.19, პარ. 6.2).

5.4 ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფილქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე, და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა (ეთიკის კომისიის N083-18 გადაწყვეტილება, 28.02.19, პარ. 6.4).

5.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა გულისხმობს ეთიკის

კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასებას, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (საქმე N083/18, 28.02.19, პარ.6.5). ეთიკის კომისიას ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია არაჯეროვანი წარმომადგენლობით გამოწვეული ზიანის შეფასება და მისი ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები) (ეთიკის კომისიის N083/18 გადაწყვეტილება, 28.02.19, პარ. 6.5).

5.6 ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს (ეთიკის კომისიის N062/15 გადაწყვეტილება, 30.10.2015, პარ. 5.8).

5.7 ადვოკატი ე. ს. ე. მ.-ის საქმეში ჩაერთო საქმის აღკვეთი ღონისძიების სხდომის შემდეგ, 2019 წელს. ე. ს.-ის საქმეში ჩართვამდე ე. მ.-ის დაცვას ახორციელებდა ადვოკატი ი. კ.. შემდგომში ადვოკატი ე. ს. დაცვას ახორციელებდა ადვოკატ ი. კ.-თან ერთად. ქვემოთ მოყვანილია ე. მ.ის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის N--- საქმეზე ინფორმაცია:

5.8 ე. მ.-ის სისხლის სამართლის N--- საქმის მასალებით, მის საქმეზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 9 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 177-4ბ მუხლის საფუძველზე (ქ. თბილისი შ. ღ.-ის ქ. N---ის მდებარე ტერიტორიაზე რ. ბ.-ის კუთვნილი ---ის ფირმის ა/მანქანიდან სახ. ნომრით --- ფულადი თანხის, 33 000 აშშ დოლარის, ქურდობის ფაქტზე, იხ. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი საქმეზე N---). მოწმის სტატუსით ე. მ.-თან 2019 წლის 10 ივლისს ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი და შედგა ოქმი (ს.ფ. 28-31). ადვოკატი ი. კ. ე. მ.-ის საქმეში ჩაერთო 2019 წლის 11 ივლისს (ადვოკატის N--- ორდერი, 11.07.2019, ს.ფ. ---). ე. მ.-ის, როგორც ბრალდებულის დაკავება განხორციელდა 2019 წლის 11 ივლისს და ბრალდებულის დაკავების ოქმი ხელმოწერილია მისი ადვოკატის - ი. კ.-ის მიერ (ს.ფ. ---). 2019 წლის 11 ივლისს მოწმის სტატუსით გამოიკითხა კ. კ. და მოხდა მისი საცხოვრებელი სახლიდან ე. მ.-ის კუთვნილი ნივთების ამოღება (იხ. მოწმის გამოკითხვის ოქმი, ამოღების ოქმი, ს.ფ. ---); 2019 წლის 11 ივლისს 04:10 სთ-დან 04:55 სთ-მდე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარდა ჩხრეკა ე. მ.-ის დედის, ნ. ლ.-ს, საცხოვრებელ სახლში (იხ. ჩხრეკის ოქმი, ს.ფ. ---). გამოძიების ჩატარების მიზნით ე. მ.-მა 2019 წლის 11 ივლისის ხელწერილით დაადასტურა თანხმობა აეღოთ მისი ნერწყვის და სუნის ნიმუშები, რასაც დაეთანხმა ადვოკატი ი. კ.. ამავე დღეს მოხდა ნიმუშების აღება ადვოკატ ი. კ.-ის დასწრებით (იხ. ნიმუშის აღების ოქმები, ს.ფ. ---). 2019 წლის 11 ივლისს გამოიკითხა მოწმის სტატუსით ბ. ი., ლ.

ც., რ. კ. (იხ. გამოკითხვის ოქმი, ს.ფ. ---). 2019 წლის 12 ივლისს რ. ბ. ცნობილ იქნა დაზარალებულად (იხ. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, ---). 2019 წლის 12 ივლისს --- რაიონულმა პროკურატურამ მიიღო დადგენილება N--- ე. მ.-ის ბრალდების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 177-3, ბ-4, ბ მართლსაწინააღმდეგოდ სხვისი ქონების დიდი ოდენობით არაერთგზის მისაკუთრების გამო. დადგენილება ბრალდებულს გამოეცხადა 2019 წლის 12 ივლისს 15:55 სთ-ზე, რასაც ესწრებოდა ადვოკატი, როგორც ოქმზე ხელმოწერით დგინდება. 2019 წლის 12 ივლისს ე. მ. გამოიკითხა ბრალდებულის სტატუსით. ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი არ ეთანხმებოდა 2019 წლის 10 ივლისს მიცემულ ჩვენებას და თავს გრძნობდა უდანაშაულოდ. ასევე დაადასტურა, რომ გაეცნო ბრალს და არ ეთანხმებოდა. ბრალდებულის გამოკითხვას ესწრებოდა ადვოკატი ი. კ. (გამოკითხის ოქმი, ს.ფ. ---). 2019 წლის 12 ივლისს ბრალდების მხარემ გადასცა დაცვის მხარეს, ადვოკატ ი. კ.-ს, შესაძლო მტკიცებულებები (იხ. ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, ს.ფ. ---).

5.9 ადვოკატ ე. ს.-ის ორდერი ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილია 2019 წლის 08 აგვისტოს (8.08.2019, N--- ორდერი, ს.ფ.---). ადვოკატი ამავე დღეს დაესწრო ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომის და არსებითი განხილვის კოლეგიის სხდომას, ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, ბრალდებულ ე. მ.-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა დარჩა ძალაში (თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლოს სხდომის ოქმის ამონაწერი, 8.08.2019, ს.ფ. ---); 2019 წლის 22 აგვისტოს საქმეზე ჩატარდა არსებითი განხილვის სხდომა, სხდომას ესწრებოდა ადვოკატი ე. ს., ადვოკატმა გააჟღერა შესავალი სიტყვა (ს.ფ. ---); შემდეგი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 30 აგვისტოს, სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ე. ს., სხდომა გადაიდო (ს.ფ. ---). 2019 წლის 08 ოქტომბრის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ე. ს. (ს.ფ. 61-62); ადვოკატი ე. ს. გამოცხადდა 2019 წლის 28 ოქტომბრის სასამართლოს სხდომაზე, ამ სხდომაზე გამოიკითხნენ მოწმეები დ. ჩ. და კ. კ. (ს.ფ. ---); 2019 წლის 12 ნოემბრის სხდოამზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხა მოწმე რ. ბ. (ს.ფ. ---); საქმეში 2019 წლის 13 დეკემბერს წარმოდგენილია ოქმი, სადაც მითითებულია რომ ე. მ. უარს აცხადებს 13 დეკემბრის სასამართლოს სხდომაზე დასწრებაზე, აქვეა მითითებული, რომ მის ინტერესებს იცავს ადვოკატი - ე. ს., რომელსაც სრულად უცხადებს ნდობას (ს.ფ. ---).

5.10 2019 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ე. ს., გამოიკითხა ადვოკატი ლ. ც. (ს.ფ. ---); 2020 წლის 20 იანვრის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხა მოწმე ნ. ლ. (ს.ფ. ---); 2020 წლის 07 თებერვლის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხნენ მოწმეები რ. კ. და ბ. ი. (ს.ფ. ---); 2020 წლის 21 თებერვლის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხნენ მოწმეები გ. ქ., ლ. ხ., დ. ე. და ნ. ნ. (ს.ფ. ---); 2020 წლის 27 თებერვლის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის მონაწილეობით გამოიკითხა მოწმე დ. ც. და ზ. ჯ. (ს.ფ. ---); 2020 წლის 04 მატის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხნენ მოწმეები რ. კ. და შ. კ. (ს.ფ. ---). ადვოკატმა ე. ს.-მ 2020 წლის 04 მარტს შუამდგომლობით მიმართა საქმის განმხილველ მოსამართლეს და მოითხოვა კონკრეტული დოკუმენტაციის წარდგენა სსიპ ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლოს ეროვნული ბიუროსათვის. 2020 წლის 11 მარტს სასამართლოს სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის მონაწილეობით გამოკითხნენ მოწმეები ს. ბ. და ლ. ლ.

(ს.ფ. ---); 2020 წლის 20 მარტის სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის ჩართულობით გამოიკითხა მოწმე ლ. ბ. (ს.ფ. ---); ადვოკატის ჩართულობით ჩატარდა სხდომები: 2020 წლის 26 მარტს, 27 მარტს (გამოიკითხნენ მოწმეები ნ. ჯ. და ნ. ხ.), 01 აპრილს (გამოიკითხა მოწმე ბ. თ.), 03 აპრილსა და 07 აპრილს (ს.ფ. ---).

5.11 2020 წლის 7 აპრილს გამოტანილი იქნა განაჩენი ე. მ.-ის მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ" და მე-4 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. განაჩენის თანახმად, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან გამოკვლეული და არასადაოდ მიჩნეული მასალა შეიცავდა ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც საკმარის საფუძველს ქმნიდა მსჯავრდებისთვის. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ გამოძიების ეტაპზე ე. მ.-ის მიმართ ადგილი ჰქონდა იძულებას, რის გამოც მან აღიარა და ითანამშრომლა გამოძიებასთან. საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებდა, ასევე არ იყო წარმოდგენილი დაცვის მხარის რაიმე განცხადება ან საჩივარი, რომლითაც დადასტურდებოდა იძულების გასაჩივრების ფაქტი. დაცვის მხარის პოზიცია სასამართლომ დაუსაბუთებლად და არადამაჯერებლად მიიჩნია. ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა ე. მ.-ისა და მოწმის ლ. ბ.-ის ჩვენებები, რადგან ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ლ. ბ. მას შემდეგ გაუშვეს სამართალდამცავებმა, რაც ის ექსპერტიზაზე წაიყვანეს, ხოლო ლ. ბ.-მა განმარტა, რომ იგი მაშინ გაათავისუფლეს, როცა მანგოშვილმა აღიარა დანაშაული. საქმეში არსებული საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების სისწორე ხელის მოწერით დაადასტურა ბრალდებულმა ე. მ.-მა და შენიშვნა მათთან დაკავშირებით არ გააჩნდა. განაჩენში ასევე მითითებულია, რომ ე. მ.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნდა.

5.12 ე. მ.-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის მე-4 გვერდზე მითითებულია, რომ ,,სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებების ნაწილი (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ამოღების ოქმი, განაჩენები და ყველა სხვა წერილობითი მტკიცებულება) არ გამოკვლეულა, რადგან ისინი მხარეებს არ გაუხდია სადაოდ და მათ თანახმად საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის ,,დ" პუნქტისა, მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა."

5.13 ე. მ. თავს დამნაშავედ არ ცნობდა და არ იყო დაინტერესებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებით. ამ დროს ადვოკატის ვალდებულებაა სადაოდ გახადოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მოითხოვოს ყველა მტკიცებულების არსებითად გამოკვლევა. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მისცეს საშუალება თავის გამართლებისათვის. სადავო მტკიცებულებათა უდავოობის თაობაზე მსჯელობა წამოიჭრა 27 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, სადაც მხარეები განიხილავდნენ დასაკითხ მოწმეთა წარმოდგენის საჭიროების საკითხს და ამ საკითხზე მსჯელობაში ჩართული იყო დაცვის მხარის ადვოკატის სახით ე. ს.. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლე ლ. ო.-მა შესთავაზა მხარეებს მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა ან მოწმეთა მოხსნა. მოწმეებზე შეთანხმების შემდეგ სასამართლო გადავიდა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის საკითხზე, რა დროსაც მოსამართლემ განმარტა, რომ ხშირად მხარეებს მისთვის უთქვამთ, რომ მისი კოლეგები სხვანაირად განმარტავენ წერილობით მტკიცებულებათა უდავოობას. თავადაც უნახავს, რომ მისი კოლეგები სხვანაირად ხსნიან და იგი

არ ეთანხმება კოლეგებს, ვინაიდან უდავოობა არ ნიშნავს, რომ მხარე დოკუმენტის შინაარსს ეთანხმება. მოსამართლემ მაგალითად მოიყვანა განაჩენი და განმარტა, რომ განაჩენს შეიძლება მხარეები არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ არ იკვლევდნენ, რადგან პრეიუდიციაა. მაგალითად, მიმდინარე საქმეში არსებულ დოკუმენტს თუ დაეთანხმა დაცვის მხარე, ეს არ ნიშნავს, რომ იგი შინაარსს ეთანხმება, არამედ ეთანხმება იმას, რომ ეს დოკუმენტი ამ სახით არსებობს. მოსამართლის განმარტებით, მას არაერთი შემთხვევა ჰქონია, როდესაც უდავო მტკიცებულებებზე კვალიფიკაცია შეუცვლია, ვინაიდან მხარეს დოკუმენტისთვის სწორი სამართლებრივი შეფასება მიუცია. მოსამართლის შეფასებით, კანონმდებლობაშიც ცვლილებაა შესატანი, ვინაიდან ორივე მხარე საქმეს იცნობს, მოსამართლეც იცნობს საქმეს და პროცესზე მოსამართლე კითხულობს დოკუმენტებს, რომელიც ყველასთვის ნაცნობია. მოსამართლის განმარტებით, მთავარია წერილობითი დოკუმენტები მხარეებმა შეაფასონ, მისცენ სწორი სამართლებრივი შეფასება ჯერ მხარეებმა და შემდეგ მოსამართლემ. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბევრ საქმეს იხილავს ამ მიდგომით და ვინაიდან მხარეებს, ვისაც მის პროცესებში მიუღია მონაწილეობა, აქვთ ეს ინფორმაცია, ბევრ მტკიცებულებას უხდიან უდავოდ და ხელს უწყობენ საქმის ეკონომიურად განხილვას. მოსამართლის განმარტების შემდეგ, ადვოკატმა ე. ს.-მ კვლავ მხარი დაუჭირა ყველა წერილობითი მტკიცებულების სადავოობას.

5.14 კოლეგია ვერ შეაფასებს თუ რატომ არ დაურთო ადვოკატმა საქმეს კონკრეტული მტკიცებულება ან არ გამოკითხა კონკრეტული მოწმე, რადგან ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ არჩეულ საქმის წარმოების სტრატეგიის ეფექტიანობას, თუმცა ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადვოკატმა ე. ს.-მ კლიენტთან შეთანხმებით აირჩია საქმის წარმოების სტრატეგია, საქმეში ე. ს.-ის ჩართულობა არ ყოფილა ფორმალური: ადვოკატის საადვოკატო მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესის გასატარებლად - ადვოკატი ამზადებდა იურიდიულ დოკუმენტებს, ადვოკატმა სადავოდ გახადა მტკიცებულებები; ე. ს. ესწრებოდა და წარმოადგენდა კლიენტის ინტერესს სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას, აყენებდა საქმესთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს, მონაწილეობდა მოწმეთა დაკითხვაში. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა. ადვოკატმა ე. ს.-მ განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით 2020 წლის 05 მაისს. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულებები, რომლებზეც დაყრდნობით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით შესაძლებელი იქნებოდა დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატმა არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესისა და პოზიციის გათვალისწინებით, და არ მოქმედებდა კლიენტის მითითებების შესაბამისად.

5.15 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. ს.-ის ქმედებებში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დგინდება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც მის მიმართა არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.16 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №004/21 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ე. ს.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი /

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/